დავით ტვილდიანის

სამედიცინო უნივერსიტეტი

სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი

თბილისი 2021

შესავალი დებულებანი

უმაღლესი განათლების შესახებ არსებული წესის მიხედვით და წინამდებარე დოკუმენტის შესაბამისად, ფაკულტეტი პროგრამაში მართავს დავით ტვილდიანის სამედიცინო უნივერსიტეტის (დტსუ) სასწავლო პროგრამებში ჩარიცხულ სტუდენტთა სწავლას. დტსუ, უმაღლესი სამედიცინო სკოლა „აიეტი“, მედიცინის ფაკულტეტი (შემდგომში მედიცინის ფაკულტეტი) აკადემიური უფლებებისა და თავისუფლების გარანტია. სწავლის კონტექსტში აღნიშნული ძირითადად რეალიზდება სტუდენტის უფლებით ჩაერთოს ერთ-ერთ აკრედიტირებულ პროგრამაში, ასევე საგანმანათლებლო პროცესში თავისუფლებით, რაც დაფუძნებულია დტსუ-ს ხელთ არსებულ ყველა ადამიანურ, მატერიალურ, საგანმანათლებლო და კვლევით რესურსთან თანაბარი წვდომისა და საკუთარი მოსაზრებების გამოხატვის შესაძლებლობაზე.

1. აკადემიური კალენდარი

დტსუ-ში აკადემიურ წლად იანგარიშება პერიოდი ყოველი მოცემული წლის პირველი სექტემბრიდან მომდევნო წლის 31 აგვისტოს ჩათვლით. თითოეული აკადემიური წელი 2 სემესტრიანია: შემოდგომის და გაზაფხულის, მათ შორის ზამთრის და ზაფხულის არდადეგები. ორივე სემესტრში 20-20 კვირიანი სასწავლო პერიოდია. მათ შორის ასევე არის დაახლოებით ორკვირიანი პერიოდი გაცდენების აღდგენის, ზეპირი და წერითი გამოცდების გადაბარებისთვის. არდადეგები ზამთრის პერიოდში, ჩვეულებრივ, გრძელდება არანაკლებ 2 კვირისა და არანაკლებ ერთი თვისა ზაფხულის პერიოდში. სწავლება მიმდინარეობს 6 დღე კვირაში, ჩვეულებრივ (საკლასო სწავლებისთვის) 9-დან 18 სთ-მდე.

უქმე დღეები:

31 დეკემბერი, 1 და 2 იანვარი – ახალი წლის სადღესასწაულო დღეები;
7 იანვარი – უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესშობის დღე;
მიცვალებულთა მოხსენიების დღე – აღდგომის მეორე დღე, ორშაბათი (თარიღები გარდამავალია);
26 მაისი – საქართველოს დამოუკიდებლობის დღე;
28 აგვისტო – ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიძინების დღე (მარიამობა);
23 ნოემბერი – გიორგობის დღე.

2. დტსუ-ში ჩარიცხვა

დტსუ-ს სასწავლო პროგრამებში ჩარიცხვა მიმდინარეობს საქართველოს და უცხო ქვეყნის მოქალაქე აბიტურიენტთათვის, ასევე მობილობის მსურველ სტუდენტთათვის (უფრო დაწვრილებით იხ. სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერება, შეწყვეტის, აღდგენის, მობილობისა და სწავლის აღიარების წესი).

2.1. დიპლომირებული მედიკოსის საგანმანათლებლო პროგრამებში ჩარიცხვა

2.1.1. **საქართველოს მოქალაქე აბიტურიენტები, რომელთაც საქართველოში მიიღეს** სრული ზოგადი ან მისი ექვივალენტური განათლება, უნივერსიტეტში ჩარიცხვის უფლებას მოიპოვებენ ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩაბარების გზით. ერთიანი ეროვნული გამოცდების გზით დტსუ-ში სტუდენტის სტატუსის მოსაპოვებლად უნივერსიტეტის მოთხოვნაა (ასევე შეესაბამება ქართულ კანონმდებლობას), გარდა შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ დადგენილი კომპეტენციის ზღვარის გადალახვისა, უნივერსიტეტის მიერ დადგენილი კომპტენეციის ზღვარის გადალახვა, როგორც სავალდებულო, ასევე შემდეგ მაპროფილებელი საგნებში: ქიმია, ფიზიკა, მათემატიკა (აბიტურიენტის არჩევით). უცხო ენისთვის მოთხოვნილია ინგლისური. კონკურსის არსებობის პირობებში (აბიტურიენტის არჩევანი და საკონკურსო ქულა) აბიტურიენტთა შერჩევა ხდება საკონკურსო ქულის მიხედვით და ერთიანი ეროვნული გამოცდების ცენტრი განსაზღვრავს დტსუ-ში (ისევე როგორც სხვა უმაღლეს სასწავლებლებში) ჩარიცხვის კანდიდატთა სიას. სია ეგზავნება უნივერსიტეტს და სტუდენტი ირიცხება პროგრამაში სწავლების პირველ სემესტრში ერთიანი ეროვნული გამოცდების, საკუთარი არჩევანის და უნივერსიტეტთან გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე (არა უგვიანეს 1 ოქტომბრისა).

2.1.2. **საქართველოს მოქალაქე აბიტურიენტები** - **ა)** რომელთაც სრული ზოგადი და/ან ექვივალენტური განათლება მიიღეს უცხო ქვეყანაში და/ან ზოგადი განათლების ბოლო 2 წელი ისწავლეს უცხო ქვეყანაში და **ბ)** ცხოვრობენ/ცხოვრობდნენ, სწავლობენ/სწავლობდნენ (ერთი სასწავლო სემესტრის ფარგლებში არანაკლებ 75 დღისა) და მიღებული აქვთ კრედიტები/კვალიფიკაცია უცხო ქვეყანაში ამ ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში დტსუ-ში სწავლის უფლებას მოიპოვებენ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2011 წლის 29 დეკემბრის N224/ნ ბრძანების შესაბამისად (**„ბ“** ქვეპუნქტით გათვალისწინებული პირები სწავლის უფლებას მოიპოვებენ სსიპ შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებული ზოგადი უნარების გამოცდის წარმატებით ჩაბარების შემთხვევაში).

საქართველოს მოქალაქე აბიტურიენტებმა, რომელთაც სრული ზოგადი და/ან ექვივალენტური განათლება მიიღეს უცხო ქვეყანაში, დტსუ-ში ჩარიცხვისთვის აუცილებელია - სსიპ შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებული ზოგადი უნარების გამოცდების წარმატებით ჩაბარების (რომელსაც ცენტრი უზრუნველყოფს 2019 წლიდან) შემთხვევაში უნივერსიტეტში სწავლის სურვილის შესახებ წერილობითი ფორმით მომართონ რექტორს, დტსუ-ს უფლებამოსილი პირის მიერ ფასდება აპლიკანტის საბუთები; ხდება განხილვა და ანალიზი აპლიკანტის პროგრამაში ჩართვის მიზანშეწონილობის შესახებ, აგრეთვე პროგრამის ენის ცოდნის დადგენის მიზნით ტარდება გასაუბრება. ყველა პირობის შესაბამისობის შემთხვევაში უნივერსიტეტი აცხადებს წინასწარ თანხმობას აბიტურიენტის სტუდენტად ჩარიცხვის შესახებ მზაობაზე. საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული პროცედურის (იხ. საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულრურისა და სპორტის მინისტრის ბრძანება 2010 წლის 1 ოქტომბრის N 98/ნ და 2011 წლის 29 დეკემბრის N224/ნ ბრძანებები) გავლის, სასწავლო

ხელშეკრულებაზე ხელმოწერისა და პირველი სასწავლო წლის საფასურისა და შეთანხმებული ადმინისტრაციული ხარჯების გადახდის შემდგომ ხდება მისთვის უნივერსიტეტის სტუდენტის სტატუსის მინიჭება (იხ. სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერება, შეწყვეტის, მობილობის წესი) და პროგრამაში სწავლებისთვის ჩართვა.

2.1.3. **უცხო ქვეყნის მოქალაქეები**, რომლებმაც უცხო ქვეყანაში მიიღეს სრული ზოგადი ან ექვივალენტური განათლება, გაიარეს დაწესებულების უფლებამოსილი პირის/სტრუქტურის მიერ ჩატარებული გასაუბრება პროგრამის ენის ცოდნის დადგენის მიზნით, (აღნიშნული გასაუბრების ვიდეო ჩანაწერის სამინისტროსათვის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის ვალდებულებით) და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის სპეციალური ადმინისტრაციული აქტის საფუძველზე მოიპოვეს სწავლის უფლება, ვალდებული არიან წერილობით მიმართონ უნივერსიტეტში სწავლის სურვილის თაობაზე პირდაპირ უნივერსიტეტს ან უნივერსიტეტის სპეციალური აგენტების მეშვეობით.

პირის ჩარიცხვის შესაძლებლობის განსაზღვრისთვის უნივერსიტეტი ითხოვს სრული ზოგადი და/ან ექვივალენტური განათლების დიპლომს/სერტიფიკატს, ნიშნების ფურცელს (ან/და განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ მიღებული განათლების აღიარების შესახებ დოკუმენტს, სამოტივაციო წერილს - „რატომ მინდა გავხდე ექიმი“ – (არაუმეტეს 500 სიტყვა) და ე.წ MCQ - ტიპის, ინგლისურ ენოვანი, კომპლექსური ტესტი ქიმია-ბიოლოგიაში - 51%-ანი კომპეტენციის ზღვარით დადასტურებას. რის შემდეგაც განსაზღვრავს დიპლომირებული მედიკოსის პროგრამაში აბიტურიენტის ჩართვის შესაძლებლობას (მათ შორის პროგრამის ენის ცოდნის დონის დადგენით) და იწყებს სათანადო პროცედურის განხორციელებას აბიტურიენტთან პირდაპირი ან აგენტის მეშვეობით კომუნიკაციით (იხ. აგენტთან ხელშეკრულების ფორმა).

დტსუ-ში ჩარიცხვის შესაძლებლობის შეფასების შემდეგ დეკანი (ან დეკანის მოადგილე) იძლევა რეკომენდაციას დტსუ-ს დიპლომირებული მედიკოსის პროგრამაში მისი ჩარიცხვის შესაძლებლობების და მისი ინდივიდუალური სწავლისთვის ხელშემწყობ ღონისძიებათა რეკომენდაციის შესახებ.

გარე და შიდა პროცედურების გავლის შემდგომ (განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ წინა განათლების აღიარება და შესაბამისობის დადგენა, პროგრამის ენის ცოდნის შეფასების მიზნით გასაუბრება, აბიტურიენტისთვის ვიზის გაცემის, სწავლის საფასურის გადახდა) ხდება დტსუ-ში მოქმედი რეგისტრაციის წესის შესაბამისად სტუდენტისათვის აქტიური სტატუსის მინიჭება.

უნივერსიტეტი ჩარიცხვის გადაწყვეტილების შემთხვევაში, სასწავლო პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე და უნივერსიტეტისგან დამოუკიდებელი პროცედურების ხანგრძლივობის გათვალისწინებით, განსაზღვრავს როდის იქნება სტუდენტი სწავლაზე დაშვებული, სასწავლო წლის პირველი ან მეორე სემესტრის ფარგლებში.

2.2. სადოქტორო პროგრამაში ჩარიცხვა

სადოქტორო სწავლებაში კანდიდატის ჩარიცხვის წინაპირობაა, აკადემიური ხარისხი - დიპლომირებული მედიკოსი; ჩარიცხვა შესაძლებელია საქართველოს, ასევე უცხო ქვეყნის მოქალაქისთვის. დოქტორანტურაშიმიღება წარმოებს ღია კონკურსის საფუძველზე, რომელსაც აცხადებს დავით ტვილდიანის სამედიცინო უნივერსიტეტი.

2.3. დტსუ-ში მობილობით ჩარიცხვა

დტსუ-ში მობილობით ჩარიცხვა ხდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, რაც ასევე გულისხმობს მობილობისთვის შესაბამისი ადგილების არსებობას; და მობილობით სტუდენტთა ჩარიცხვისთვის უნივერსიტეტის მზაობისთვის საჯარო განცხადებას; პროცედურა ასევე გულისხმობს მობილობის მსურველთაგან მოთხოვნილი ინფორმაციის განხილვას. უნივერსიტეტში მობილობის საშუალებით ჩარიცხვისთვის მოითხოვება სტუდენტის განცხადება დტსუ-ში სწავლის გაგრძელების შესახებ სურვილზე, და წინა აკადემიური განათლების (პროგრამის, რომლიდანაც გადმოსვლა სურს სტუდენტს, აღწერა, საათები, კრედიტები, საგნები და ნიშნები) ამსახველი დოკუმენტი. პროგრამათა შესაბამისობის დადგენით უნივერსიტეტი განსაზღვრავს საკუთარ პროგრამაში სწავლების რომელ სემესტრშია შესაძლებელი მისი ჩარიცხვა; ასევე აკადემიური მოსწრებისა და სტუდენტის მოტივაციის (გასაუბრების მეშვეობით) გათვალისწინებით განსაზღვრავს დტსუ-ში მისი სწავლის გაგრძელების და/ან დაწყების (პირველი სემესტრიდან) შესაძლებლობას; აწვდის მას სათანადო გადაწყვეტილებას მობილობის მიზნით რეგისტრაციის პროცედურის დასრულებამდე. მობილობაზე დასტურის შემთხვევაში მსურველი გაივლის დტსუ-ში ჩარიცხვის სტანდარტულ პროცედურებს: ხელშეკრულების გაფორმება, დარეგისტრირება, ფინანსური ვალდებულებების ინდივიდუალური შეთანხმება, ა. შ. (იხ. მობილობის, ასევე ჩარიცხვის, რეგისტრაციის ფორმა, რეგისტრაციის წესი და პირობები).

დტსუ-ში დიპლომირებული მედიკოსის პროგრამაში რიცხულ, შიდა მობილობის მსურველ დმ-ეპდს პროგრამაში უცხოელ სტუდენტს მოეთხოვება ქართული ენის ცოდნის დადასტურება (2020 წლის აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციის საფუძველზე).

3. რეგისტრაციის წესი

აბიტურიენტის დტსუ-ში ჩარიცხვის შემდგომ, იგი ვალდებულია გაიაროს რეგისტრაცია სტუდენტის სტატუსის გააქტიურებისთვის, რისთვისაც წარმოადგენს სავალდებულო დოკუმენტებს და გაივლის სათანადო პროცედურას (იხ. დტსუ-ში რეგისტრაციის წესი და პირობები), რომლის შემდეგაც მიენიჭება საიდენტიფიკაციო ნომერი, შეყვანილ იქნება განათლების ხარისხის განვითრების ეროვნული ცენტრის სტუდენტთა ერთიან რეესტრში, გაიცემა სტუდენტის დამადასტურებელი საბუთი.

რეგისტრაციის ვადად განსაზღვრულია 10 სამუშაო დღე სწავლის დაწყების თარიღიდან; ამ ვადაში რეგისტრაციის გავლის შეუძლებლობის შესახებ აბიტურიენტი უნივერსიტეტს მიმართავს წერილობით (მიზეზის წარმოდგენით) წესიდან გამონაკლისის დაშვების თხოვნით; რექტორი

იღებს ინდივიდუალურ გადაწყვეტილებას სტუდენტის სტატუსის შეჩერების ან ასეთის გონივრული დროით გადავადების შესახებ, რეგისტრაციაზე არ გამოცხადების მიზეზის გათვალისწინებით.

დტსუ-ს სტუდენტს აქვს ასევე სემესტრული რეგისტრაციის ვალდებულება, მათ შორის, უნივერსიტეტსა და სტუდენტს შორის დადებული ხელშეკრულების ვალიდაციისთვის, ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადაში დაფაროს მიმდინარე სემესტრის სწავლის საფასური; მას ასევე აქვს შესაძლებლობა ზ/ა ვადაში შეატყობინოს უნივერსიტეტს ხელისშემშლელი ობიექტური თუ სუბიექტური მიზეზების შესახებ წერილობით. წინააღმდეგ შემთხვევაში, რეგისტრაციის ვადის გასვლის შემდეგ უნივერსიტეტს აქვს უფლება შეუჩეროს სტუდენტს აქტიური სტატუსი კანონით დადგენილი წესითა და ვადით (იხ. “უმაღლესი განათლების შესახებ კანონი“; საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის „სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერების, შეწყვეტის, მობილობისა და მიღებული განათლების აღიარების წესის“ დამტკიცების შესახებ ბრძანება; დტსუ-ს „სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერების, შეწყვეტის, მობილობისა და მიღებული განათლების აღიარების შესახებ დებულება;დაწესებულებასა და სტუდენტს შორის დადებული ხელშეკრულება).

დტსუ-ს სტუდენტს ასევე წარმოექმნება მოდულზე რეგისტრაციის ვალდებულება, თუ სემესტრში სწავლის გადასახადი, როგორც გამონაკლისი და მიზეზის გათვალისწინებით, რექტორის მიერ ნებადართულია გადახდილი იყოს ნაწილ-ნაწილ.

რეგისტრაცია მოითხოვება ელექტივის არჩევისას: ელექტიური კურსის/პრაქტიკის გავლისთვის (პროგრამით გათვალისწინებულ) პერიოდამდე 6 თვით ადრე (და არანაკლებ 3 თვისა) საზღვარგარეთ კურსის გავლის დაგეგმვისა და არანაკლებ 1 თვისა საქართველოს ფარგლებში კურსის გავლის შემთხვევაში, სტუდენტი განცხადებით მიმართავს დეკანს მისი ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შეთანხმებისა, დასტურისა და რეგისტრაციისთვის.

4. დავალებები და გამოცდები

4.1. ეს რეგულაციები განეკუთვნება შემოდგომის და გაზაფხულის სემესტრებში მოთხოვნილ დავალებებს - მიმდინარე სწავლის, დასკვნით სემესტრულ და საეტაპო გამოცდებს. კითხვები განმარტებებისა და გამონაკლისების თხოვნით ადრესირდება ფაკულტეტის დეკანთან, რომელსაც შეუძლია მათი მიმართვა შესაბამის პირებსა და/ან სამსახურებზე.

4.2. ეს რეგულაციები გამოიყენება დმ-ის პროგრამის ყველა საგანსა (კურსს, მოდულს) და სწავლების ყველა ეტაპისთვის. სწავლება პროგრამის უმრავლესი მოდულის სასწავლო კურსებში მიმდინარეობს კურაციული წესით; მეცადინეობები ტარდება ყოველდღიურად გარდა კვირისა; სასწავლო წლის განმავლობაში სტუდენტი აგროვებს საშუალოდ 60 კრედიტს. ასევე შესაძლებელია სასწავლო დატვირთვის გაზრდაც, მაგრამ არაუმეტეს 75 კრედიტისა ერთი სასწავლო წლის განმავლობაში (საქართველოს განათლებისა და მეცნიერების 2007 წლის 5 იანვრის "უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ" ბრძანება); სასწავლო კურსების უმრავლესობაში 1 კრედიტი 30 სთ-იანი დატვირთვის ექვივალენტურია, სადაც 16 სთ საკონტაქტო და 14 სთ სტუდენტის დამოუკიდებელი სამუშაო

დატვირთვაა. მოდულში შემავალი ყველა სასწავლო კურსი ითვალისწინებს გარკვეული (შესაბამისი) ცოდნისა და კომპეტენციების ყოველდღიურ გამომუშვებას; რაც შესაბამისი შეფასებით (მიმდინარე) მტკიცდება; მოდულის დასკვნით გამოცდაზე სტუდენტის დაშვების წინაპირობაა მიმდინარე შეფასებაში (შეფასების კომპონენტებში) დადებითი (როგორც მინიმუმ შეფასება „E”) ნიშნის მიღება; მოდულში დასკვნითი გამოცდის ჩაბარების უფლება სტუდენტს ეძლევა სემესტრში 2-ჯერ: მოდულის „ჩაბარების“ და/ან „გადაბარების“ დღე წინასწარ (სემესტრის დაწყებამდე) დადგენილია ცხრილით. ცხრილით მიმდინარე (დადგენილ/გაწერილ) მოდულებში სწავლება და შეფასება მთავრდება სემესტრში (იხ. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის #3 ბრძანება უმაღლესი საგანამანათლებლო პროგრამების კრედიტების გაანგარიშების წესის შესახებ) სასწავლო და საგამოცდო ცხრილს ადგენს და აქვეყნებს სასწავლო დეპარტამენტი: დასკვნითი გამოცდების თარიღი არ იცვლება, ცვლილება შესაძლებელია გამონაკლისის სახით დეკანის მიერ (არსებითი ხასიათის მიზეზის გათვალისწინებით).

დიპლომირებული მედიკოსის პროგრამები პირობითად დაყოფილია სამ ეტაპად: I - თეორიული (საბაზისო) მედიცინის კურსი; II - კლინიკური მედიცინის კურსი, III - ზოგადი სპეციალიზაციის კურსი.

I ეტაპზე „თეორიული (საბაზისო) მედიცინის კურსში“ სწავლება/სწავლა/შეფასებაში მაღალია საკლასო/ლაბორატორიული/ვირტუალური სწავლების და სწავლის ფორმატი დაფუძნებული ადამიანის ჯანმრთელობასა და პათოლოგიურ მდგომარეობებთან ასოცირებულ საკითხთა და მაგალითთა (კლინიკური მნიშვნელობის გაცნობიერების ღირებული მაგალითი, სამედიცინო პრობლემის იდენტიფიკაცია და გადაჭრა, კლინიკური შემთხვევა და სცენარი, ა. შ.) გაცნობიერებაზე; კლინიკური შემთხვევის განსჯასა და პაციენტთან კომუნიკაციისთვის სწორი მიდგომებისა და უნარების გამომუშავების დაწყებაზე, მათ შორის სიმულირებულ პაციენტთან; ამასთან, აქ ასევე ჩართულია კლინიკურ პრაქტიკასთან წვდომა (დიაგნოსტიკის საფუძვლების კურსები), კლინიკურ უნარებში ტრენინგი; სამეცნიერო კვლევის უნარ-ჩვევების გამომუშავების დაწყება და სამედიცინო პროფესიონალიზმისთვის უმნიშვნელოვანეს ეთიკურ ღირებულებებზე მსჯელობა.

სტუდენტთა ცოდნისა და პროფესიული უნარ-ჩვევების გამომუშავებაში პროგრესის შეფასება მიმდინარეობს მუდმივად (მიმდინარე და დასკვნითი შეფასებები; შეფასება ზეპირი, წერილობითი ფორმატებით, ჯგუფური აქტივობა და კომუნიკაციის უნარები, განსჯა და გადაწყვეტილების მიღება, ანალიზის და სინთეზის, ა. შ. უნარები (იხ. დიპლომირებული მედიკოსის პროგრამები„სწავლის შედეგები“, ასევე სილაბუსები); შესაბამისად სტუდენტი იღებს შეფასებას სემესტრულად და ასევე უკუკავშირს პედაგოგებისგან სამედიცინო ცოდნასა და უნარებში განვითარების შესახებ, მათში პროგრესისთვის საჭირო რეკომენდაციების ჩათვლით; რაც ასევე წინაპირობაა საეტაპო გამოცდაზე დაშვების (შემაჯამებელი საეტაპო გამოცდა საბაზისო მედიცინაში), რომლის შემდგომ იგი სწავლას აგრძელებს პროგრამის შემდგომ ეტაპზე.

II ეტაპი - „კლინიკური მედიცინის კურსში“ სწავლება/სწავლა/შეფასება პრაქტიკულად ყველა კურსის ფარგლებში მიმდინარეობს კლინიკურ ბაზებზე, სადაც პროგრამის ამოცანაა დაავადების ტიპური კლინიკური სურათის, ასევე იშვიათი და/ან არატიპური შემთხვევების დიაგნოსტიკისა და

მართვის პრინციპების, მათი განმაპირობებელი საბაზისო მეცნიერებების საკითხების კლინიკურ კონტექსტსა და ინდივიდუალური ავადმყოფის მაგალითზე განსჯა-გაცნობიერება; კლინიკური სესიის გარდა ეს გულისხმობს ავადმყოფის-საწოლთან სწავლას და სწავლებას, ინდივიდუალური ავადმყოფის კურირებას (მკურნალობისა და მართვის შედეგზე დაკვირვების შესაძლებლობის ჩათვლით), ავადმყოფთან და ასევე სხვა პროფესიონალებთან (კლინიკის სხვა ექიმები, ექთნები, სამედიცინო გუნდის სხვა წევრები) კომუნიკაციისა და კონსულტაციის გზით კლინიკური საქმიანობის მთლიანი სურათის (მართვის პროტოკოლები, ურთიერთობა კლინიკაში, ურთიერთობა პაციენტთან და მისი ოჯახის წევრებთან, ეთიკური საკითხები, პრობლემები და ღირებულებები, ა. შ.) შემეცნებას; კლინიკური როტაციები გულისხმობს ამბულატორიულ და ჰოსპიტალურ პაციენტს, ყველა ასაკს (და ასაკობრივ თავისებურებას) სამედიცინო დარგში სპეციალიზაციის უმთავრეს სფეროებს (ნევროლოგიური, კარდიოლოგიური, ონკოლოგიური, ქირურგიული, ა. შ. პრობლემით პაციენტი).

სტუდენტთა ცოდნისა და პროფესიული უნარ-ჩვევების განვითარებაში პროგრესის შეფასება მიმდინარეობს ყველა ძირითადი სამედიცინო სპეციალიზაციის (იხ. პროგრამა) სფეროში, რაც აისახება მის მიმდინარე და დასკვნით შეფასებებში, რომელიც ტარდება ზეპირი და წერილობითი ფორმატებით, პორტფოლიოს ანალიზით, ავადმყოფის საწოლთან შეფასებით, როგორც სამედიცინო ცოდნაში, ასევე პროფესიულ და პრაქტიკულ უნარებში; შესაბამისად კლინიკურ მედიცინაშიშემაჯამებელ საეტაპო გამოცდაზე დაშვება და ასევე ცოდნასა და უნარებში მისი „დამაკმაყოფილებელი“ შეფასება არის პროგრამის მე-3 ეტაპზე დაშვების წინაპირობა.

III ზოგადი სპეციალიზაციის კურსი კლინიკურ პრაქტიკაზე ორიენტირებული კურსია: აქ ფორმალური თეორიული მეცადინეობები მინიმალურია და სტუდენტის სამედიცინო ცოდნა (მიღებული 1-5 კურსებზე) „ტესტირდება“ და ვითარდება ინდივიდუალური პაციენტის საჭიროების განსაზღვრისა და გადაწყვეტაზე მორგებით. სტუდენტი ასრულებს ექიმის (ლიცენზირებული) დავალებებს და/ან მოქმედებს ავადმყოფისთვის (ავადმყოფის საწოლთან) პედაგოგის და/ან განყოფილების ექიმის ზედამხედველობით, ეხმარება მანიპულაციების შესრულებაში, მორიგეობს (ქვემორიგედ), ა. შ. ზოგადი სპეციალიზაციის კურსში მისთვის სავალდებულოა პრაქტიკა შინაგან სნეულებებსა და ქირურგიაში, მეან-გინეკოლოგიასა, პედიატრიასა, ინფექციურ სნეულებებსა დ ნევროლოგიაში. ასევე არჩევითი კურსის სახით (და მომავალი კარიერული ზრდისთვის არჩევანის შესაძლებლობის რეალიზაციისთვის) აქვს შესაძლებლობა გაიაროს პრაქტიკა ქვეყნის შიგნით და/ან საზღვარგარეთ უნივერსიტეტის პარტნიორ ჰოსპიტალებსა და კლინიკურ ბაზებზე; გაიმყაროს კლინიკური უნარ/ჩვევები და განივითაროს სამეცნიერო კომპეტენციები; პრაქტიკულად გააცნობიეროს ჯანდაცვის ორგანიზაციისა და მენეჯმენტის, სამედიცინო საქმიანობის სამართლებრივი ასპექტები.

ამ ეტაპზე პროფესიულ პრაქტიკაში ტრენინგი მიწოდებულია კონტროლირებული თვითსწავლების ფორმატში; შესაბამისად სტუდენტთა ცოდნის პრაქტიკაში გამოყენებასა და პროფესიულ უნარ-ჩვევებში პროგრესის უნარი ასევე ფასდება მის მიერ ჩატარებული სამუშაოს ანალიზით (პორტფოლიო/Log-book ანალიზი), პაციენტებსა და კოლეგებთან კომუნიკაციასა და

სხვა უნარებში შეფასების ანგარიშებით; საბოლოო (საკვალიფიკაციო გამოცდაზე) დაშვებისთვის მისი მიმდინარე შეფასებები დადებითია და ასევე დადებითია მისი ინტერდისციპლინარული შეფასება დეკანის საბჭოს დასკვნით.

საკვალიფიკაციო გამოცდა ტარდება შემდეგ დისციპლინებში: შინაგანი სნეულებანი, ქირურგიული სნეულებანი, მეან-გინეკოლოგია, პედიატრია, ინფექციური და ნერვული სნეულებანი.

საკვალიფიკაციო გამოცდები (დისერტაციის დაცვის გარდა, იხ. ქვემოთ) ამ რეგულაციის კონტექსტში არ განიხილება როგორც დისციპლინები ან მოდულები, შესაბამისად მათი ჩაბარებისთვის არ ენიჭება კრედიტი.

საკვალიფიკაციო გამოცდების კომისიის წევრები არიან: შესაბამისი მიმართულებების უნივერსიტეტის პროფესორები.

თავმჯდომარე - პროფესიული საზოგადოების მოწვეული წევრი, დამსაქმებელი და/ან პროგრამის მიმართ მაღალი ინტერესის მქონე პირი.

4.3. საგანმანათლებლო პროგრამის ერთეულები

(i) დისციპლინის (და/ან მოდულის) ფარგლებში სასწავლო პროგრამის (კურსის) ერთეულს განსაზღვრავს საგნის ხელმძღვანელი, თუ ეს სხვაგვარად არ არის განმარტებული სასწავლო პროგრამაში. საგანმანათლებლო პროგრამის ერთეულებია (სასწავლო-სწავლების ფორმატები) კერძოდ, ლექციები, სემინარები, სავარჯიშოები, ლაბორატორიული სამუშაო, პრაქტიკული ტრენინგი, საბოლოო თეზისები.

(ii) სტუდენტი ვალდებულია შეასრულოს სასწავლო პროგრამის ერთეულები, რომლებიც ასახულია კურსის საინფორმაციო ფორმაში (სილაბუსები). სასწავლო პროგრამით გათვალისწინებული ერთეულის (ფორმატის) გაცდენა შეიძლება ჩაეთვალოს საპატიოდ. სათანადო საბუთის წარმოდგენით; ამასთან სტუდენტმა გაცდენა უნდა აღადგინოს ან პედაგოგის გადაწყვეტილებით სტუდენტს აღდგენაგანესაზღვროს სხვა ფორმით (მაგ: სასემინარო მუშაობა).

(iii) ლექციებს, ჩვეულებრივ,ატარებენპროფესორები და ასოცირებული პროფესორები. ლექციების შინაარსი არის კურიკულუმის საგანი, ეხმარება კურსის და მთლიანად მოდულის (სისტემების და/ან თემების ირგვლივ ორგანიზებული ინტეგრირებული კურსის) შინაარსის გაცნობიერებაში.

(iv) სემინარები ემსახურება დისციპლინის სალექციო ნაწილის განვითარებასა და გაღრმავებას და ახალი სამეცნიერო ცოდნის ახსნას.

(v) პრაქტიკული ტრენინგები ემსახურება მიზანმიმართულ ტრენინგს იმ ცოდნის, უნარების და ჩვევების გაღრმავებაზე, რაც საჭიროა საგანში მომზადების პრაქტიკული და თეორიული სრულყოფისთვის.

(vi) ტუტორიალთა მიზანია სტუდენტთა ხელმძღვანელობა სწავლების შინაარსისადა მეთოდების განსაზღვრულ ფარგლებში; სამეცნიერო, კვლევით და პროფესიულაქტივობებში პროგრესის ხელშეწყობისთვის ტუტორიალებს შეუძლია სწავლების ზოგიერთი ფორმის ჩანაცვლება ან სტუდენტთა გამოცდებისთვის მზადების ხელშეწყობა.

(vii) პროფესიული პრაქტიკა გამიზნულია ცოდნისა და უნარების გაძლიერებაზე და მათ პრაქტიკაში ვერიფიკაციაზე, ასევე ახალი ცოდნის შეძენაზე. რეგულაციის მიხედვით დეკანი არის პასუხისმგებელი პროფესიული პრაქტიკის დეტალების განსაზღვრასა და ორგანიზებაზე.

(viii) დიპლომისშემდგომი განათლების სტუდენტი(დოქტორანტი) ვალდებულია შეასრულოს სასწავლო პროგრამის ერთეულები სასწავლო პროგრამის შესაბამისად დაინდივიდუალურად დაამუშაოს (თვით-სწავლება)სადისერტაციო თეზისთან კავშირის მქონე ლიტერატურა. სწავლების პრაქტიკა ან სხვა პროფესიული აქტივობა (სასწავლო აქტივობასთან კავშირის მქონე) კვირაში 4 სთ-ზე მეტი (საშუალოდ, აკადემიური წლის განმავლობაში) დიპლომისშემდგომი (დოქტურანტურის) მზადების ნაწილია სრულიდატვირთვით სწავლის ფორმის დროს.

4.4. სადოქტორო სწავლება

პროგრამა 3 (მინიმუმ) – 6 წლიანია და გულისხმობს ჯამში 180 კრედიტის შესრულებას. აქედან, 30 კრედიტი ეთმობა სასწავლო კომპონენტს, პროგრამა სრულდება სამეცნიერო-კვლევითი ნაშრომის (დისერტაციის) დაცვით.

დისერტაციის დაცვაზე გატანის აუცილებელი წინაპირობაა სამედიცინო-ბიოლოგიური მეცნიერებებისთვის არსებითი მნიშვნელობის თეორიული, ექსპერიმენტული ან კლინიკური შედეგების არსებობა და სხვადასხვა სასწავლო კურსებისა და აქტივობების შემცველი 30 კრედიტიანი სავალდებულო სასწავლო კომპონენტის შესრულება. სადისერტაციო ნაშრომის საჯარო დაცვის შედეგად დოქტორანტს ენიჭება მედიცინის დოქტორის აკადემიური ხარისხი.

საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება მოიცავს შემდეგ კომპონენტებს:

- ○ თეორიული სწავლება:
- ზოგადი მოდულები.
- სტრუქტურირებული სამეცნიერო (დარგობრივი) მოდულები:
  - ✓ სამეცნიერო კვლევის მიმართულების მიხედვით;
  - ✓ სამეცნიერო კვლევის მეთოდოლოგიის მიხედვით;
  - ✓ დარგობრივი მიმართულების მიხედვით.

- ○ სადისერტაციო კვლევა:
- მიმდინარეობის ეტაპებია
  - ✓ კვლევით პროექტზე სასწავლო სემესტრების მიხედვით გაწერილი პრაქტიკული მუშობის გეგმის შედგენა;

- პროექტის წარდგენა აკადემიურ საბჭოზე

- პროექტის წარდგენა დაფინანსების მოსაპოვებლად

  - ✓ სადისერტაციო თემის გარშემო სამეცნიერო ლიტერატურის გეგმიური ძიება/დამუშავება სემესტრების მიხედვით;
  - ✓ სამეცნიერო კონფერენციებზე კვლევის შედეგების ეტაპობრივი პრეზენტაციის გეგმა;
  - ✓ პუბლიკაციების მომზადების/გამოქვეყნების საორიენტაციო კალენდარული გეგმა;
  - ✓ დისერტაციის გაფორმება და დაცვისთვის მზადება.

- აკადემიური აქტივობა:
  - ✓ დიპლომამდელი სამედიცინო განათლების გარკვეული სასწავლო კურსის სწავლებაში მონაწილეობა;
  - ✓ სტუდენტთა სამეცნიერო წრის ტუტორობა;
  - ✓ სტუდენტთა სამეცნიერო-კვლევითი ნაშრომის ხელმძღვანელობა.

- სამედიცინო განათლების სფეროში კვლევითი ნაშრომის შესრულება (ელექტივი).

5. **ქულები (ნიშნები)**

5.1. ქულები (და შესაბამისი ნიშნები) მინიჭებული უნდა იყოს სემესტრის ბოლოს ყველა სემესტრულ სასწავლო კურსსა და მოდულში. ერთხელ მინიჭებული ქულები (ნიშნები) აღარ იცვლება გარდა ტექნიკური შეცდომის აღმოჩენის შემთხვევისა; ასევე როცა ჩაგდებული (Failed) ზეპირი ან წერითი გამოცდის გადაბარება და აღნიშნულ გამოცდა(-ებ)ში სტუდენტი იღებს დადებით შეფასებას; ასევე სემესტრში განმეორებითი სწავლისას, როცა იგი მთლიანად იმეორებს სემესტრული პროგრამის მოდულს, სასწავლო კურსს და იღებს შესაბამის შეფასებებს და კრედიტებს, რაც აისახება მისი დიპლომის დანართში.

5.2. ქულები (ნიშნები), რომლებიც ენიჭება სტუდენტს (დმ), რომელმაც დამაკმაყოფილებად დაასრულა სასწავლო კურსსა და მოდულში მუშაობა არის შემდეგი:

ა) ხუთი სახის დადებითი შეფასება:
ა.ა) (A) ფრიადი - მაქსიმალური შეფასების 91% და მეტი;
ა.ბ) (B) ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90%;
ა.გ) (C) კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80%;
ა.დ) (D) დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70%;
ა.ე) (E) საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60%;

5.3 არადამაკმაყოფილებლი შეფასებისას სტუდენტს შესაბამის მოდულში კრედიტი შესრულებულად არ ეთვლება და ეს გულისხმობს შემდეგ შეფასებებს

ბ) ორი სახის უარყოფით შეფასებას:

ბ.ა) (FX) ვერ ჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50%, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება.

ბ.ბ) (F) ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი/მოდული ახლიდან აქვს შესასწავლი.

- დასკვნით სემესტრულ გამოცდაზე „არ დაიშვება“ ნიშნავს, რომ სტუდენტი კურსის განმავლობაში არადამაკმაყოფილებლად პროგრესირებდა, ჰქონდა გაცდენები (და კურსი აღდგენას საჭიროებს),ან არ ასრულებდა მიცემულ დავალებებს, ან „არ გამოცხადდა“ ზეპირ გამოცდაზე, ან ორივე. ანუ ყველა პრექვიზური (დასკვნითი სემესტრული გამოცდის წინა) მოთხოვნა მინიმალურ დონეზე მაინც უნდა იყოს დაკმაყოფილებული სემესტრულ გამოცდაზე სტუდენტის დასაშვებად. სემესტრის განმავლობაში არადამაკმაყოფილებელი სწავლა გაცდენების გამო (რაც არ აღადგინა, სემესტრში აღდგენა ვერ მოხერხდა) ჩაიწერება (გაფორმდება) როგორც F.

5.4 მოდულში დასკვნით გამოცდაზე დასაშვებად, სტუდენტს მოდულში შემავალ ყველა საგნობრივ ბლოკში უნდა ჰქონდეს „დადებითი“ შეფასება, როგორც ჯამურად, ასევე ცალკეულ კომპონენტებში (მინ. 31 - მაქს. 60 ქულა), როგორიც არის:

- ყოველდღიური აქტივობა (შესაძლოა ჩაშლილი იყოს სხვადასხვა ტიპის აქტივობებად, ასახული სილაბუსში)
- ზეპირი გამოცდა - კურაციის ბოლოს

5.4.1 თითოეული კომპონენტში შეფასება აისახება ნიშანში (მაგ. Mark – 5, Grade – A) 5.2 პუნქტის მიხედვით. შესაბამისად „დადებითი“ შეფასება ნიშნავს >51%-ზე, ანუ E – A ნიშნის ფარგლებში.

5.4.2 დასკვნითი სემესტრული გამოცდა - მაგალითად ქვიზი, შეადგენს საერთო შეფასების 40%.

5.4.3 100 ქულიან სისტემაში საგნის/მოდულის საბოლოო შეფასებისთვის, თითოეული კომპონენტით მიღებული შეფასება გადაანგარიშდება იმ პროცენტული გადანაწილებით, რაც დადგენილია/ასახულია კონკრეტულ სილაბუსში.

რიგ კომპონენტში შეფასებისთვის გამოიყენება 5 დონიანი სისტემა: A (5), B (4), C (3), D (2), E (1), სადაც E არის დადებითი შეფასება, განსაზღვრული როგორც „საკმარისი“ - მაქსიმალური შეფასების 51% ან მეტი; მიღებული შეფასებიდან საბოლოო შეფასებაში კომპონენტისთვის განსაზღვრული პროცენტის (%) გათვალისწინებით იანგარშება კომპონენტში მიღებული ქულა, რომელიც 100-ქულიან სისტემაში თავსდება და მას ემატება სხვა კომპონენტებში მიღებული შეფასებები ანალოგიური პრინციპით.

<u>**კერძოდ:**</u>

აღნიშნული გამოითვლება (პროგრამულად) შემდეგი ფორმულით:

(X x 0.1 + 0.5) x W,

სადაც **X** არის სტუდენტის მიერ მიღებული სკალირებული ქულა (A – E),

W - საერთო შეფასებაში კომპონენტის წონა.

რიგ კომპონენტში (ძირითადად ზოგიერთ/სხვადასხვა უნარში) შეფასებისთვის გამოიყენება “pass”, “fail” შეფასება; ამასთან, “pass” - შეიძლება იყოს შეფასების დონეებად დაყოფილი, ან მოითხოვდეს “checklist”-ით განსაზღვრული ყველა ქულის დაგროვებას.

5.5 პირველი კურსის დიპლომირებული სწავლების სტუდენტისთვის პირველ სემესტრში სწავლის დაწყებიდან 3 კვირაში (პირველი მოდული), 4 კვირაში (მეორე მოდულის დაწყებიდან), 3 კვირაში (მესამე მოდულის დაწყებიდან) პირველი კურსის კოორდინატორმა უნდა წარმოადგინოს დეკანის ასისტენტთან პირველკურსელთა სია, რომლებიც მოდულში უარყოფით შეფასებისრისკის ქვეშ არიან. ასლი მიეწოდება დეკანს. კოორდინატორი და დეკანის ასისტენტი (საჭიროებისას დეკანი) ინიცირებს თითოეულ სტუდენტთან მისი მოსწრების შესახებ განხილვას (სუსტი და ძლიერი მხარეების იდენტიფიცირება) დახმარების შეთავაზების მიზნით.

5.6 დოქტორანტის სადისერტაციო ნაშრომის და დიპლომირებული მედიკოსის სამაგისტრო ნაშრომის შეფასებისათვის გამოიყენება შემდეგი სისტემა:

ა) ფრიადი (*summa cum laude*) – შესანიშნავი ნაშრომი;

ბ) ძალიან კარგი (*magna cum laude*) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივაღემატება;
გ) კარგი (*cum laude*) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს აღემატება;
დ) საშუალო (*bene*) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აკმაყოფილებს;
ე) დამაკმაყოფილებელი (*rite*) – შედეგი, რომელიც, ხარვეზების მიუხედავად, წაყენებულ მოთხოვნებს მაინც აკმაყოფილებს;
ვ) არადამაკმაყოფილებელი (*insufficienter*) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს მნიშვნელოვანი ხარვეზების გამო ვერ აკმაყოფილებს;
ზ) სრულიად არადამაკმაყოფილებელი (*sub omni canone*) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს სრულიად ვერ აკმაყოფილებს.

პუნქტის ”ა”-”ე” ქვეპუნქტებით გათვალისწინებული შეფასების მიღების შემთხვევაში დოქტორანტს ენიჭება დოქტორის აკადემიური ხარისხი.

პუნქტის ”ვ” ქვეპუნქტით გათვალისწინებული შეფასების მიღების შემთხვევაში დოქტორანტს ენიჭება ერთი წლის განმავლობაში გადამუშავებული სადისერტაციო ნაშრომის წარდგენის უფლება.

პუნქტის ”ზ” ქვეპუნქტით გათვალისწინებული შეფასების მიღების შემთხვევაში დოქტორანტი კარგავს იგივე სადისერტაციო ნაშრომის წარდგენის უფლებას.

6. სამეცნიერო-კვლევითი ნაშრომი დიპლომირებული მედიკოსის პროგრამაში, და/ან დისერტაცია სადოქტორო პროგრამაში(თეზისი)

(i) დიპლომირებული მედიკოსის ნაშრომისთვის (სამაგისტრო დონის) ან PhD-შიდისერტაციისთვის სტუდენტმა უნდა აჩვენოს კრეატიულობა სასწავლო პროგრამის ფარგლებში არსებულ საკვლევ სფეროში.

(ii) დისერტაციის დაცვით დასტურდება PhD სტუდენტის მზაობა დამოუკიდებელი სამეცნიერო კვლევისა და კრეატიულობისთვის. საბოლოო თეზისის (დისერტაციის) ძირითადი მახასიათებლების განსაზღვრა,დისერტაციის მომზადება, დაცვაზე დაშვება და დაცვა რეგულირდება „უმაღლესი განათლების შესახებ კანონით“ და დტსუ-ში რექტორის ბრძანების საფუძველზე დამტკიცებული შიდა რეგულაციებით.

(iii) დიპლომირებული მედიკოსის პროგრამის სტუდენტებისთვის კვლევისთემები რეგისტრირებული უნდა იყოს მეხუთე კურსის სწავლების დასაწყისში (არაუგვიანეს). სტუდენტი განაცხადს აკეთებს ვიცე-დეკანთან საკვლევი საკითხის შესახებ (საკუთარი იდეის, ან დტსუ-ს მიერ გაცხადებული საკვლევი თემების ჩამონათვალიდან); თუ სტუდენტი თვითონ შეიმუშავებს საკუთარ საკვლევ იდეას, მაშინ თვითონვე წარმოადგენს ხელმძღვანელის კანდიდატურას და ასეთ შემთხვევაში მას სჭირდება კონკრეტული ხელმძღვანელის (და/ან დეპარტამენტის) თანხმობაც.

(iv) დიპლომირებული მედიკოსის პროგრამის სტუდენტისთვის დეკანი არეგისტრირებს:

ა) სტუდენტის კვლევითი ნაშრომისსათაურს

ბ) ხელმძღვანელს, ასევე სავარაუდო რეცენზენტს

გ) კვლევითი ნაშრომისდაცვის დღეს

(v) სტუდენტი მუშაობს კვლევით ნაშრომზეხელმძღვანელის დახმარებით.

(vi) რეცენზენტი აფასებს ნაშრომს (PhD-ის შემთხვევაში - ოპონენტები) და წერილობით დასკვნას წარადგენს.

(vii) სტუდენტს (დმ პროგრამის) აქვს უფლება გაეცნოს ხელმძღვანელის და ოპონენტის დასკვნებს დაცვამდე 3 დღით ადრე (ყველაზე გვიან).

(viii) სამეცნიერო-კვლევითი ნაშრომის დაცვა განეკუთვნება საკვალიფიკაციო გამოცდებს.

(ix) სამეცნიერო-კვლევითი ნაშრომის დაცვა ფასდება ნიშნით A-დან Fx-მდე.

(x) სამეცნიერო-კვლევითი ნაშრომი იწერება ქართულ ან ინგლისურ ენაზე. თუ ნაშრომი დაწერილია ქართულად, შეჯამებ ა(Abstract), სულ მცირე 1 გვერდიანი, მოთხოვნილია ინგლისურად ან პირიქით.

(xi) სამეცნიერო-კვლევითი ნაშრომი დაცვის შემდეგ, მათ შორის, ელექტრონულ ფორმატში ჩაბარდება ბიბლიოთეკას დაარქივების, ბიბლიოგრაფიული რეგისტრაციისა და პუბლიკაციისთვის. გამოქვეყნების პირობები აღწერილია უნივერსიტეტის რეგულაციების შესაბამისად (დამტკიცებულია რექტორის ბრძანების მიხედვით).

7. სამეცნიერო-კვლევითი ნაშრომის (სამაგისტრო დონის) გაფორმება:

- **შესავალინაწილისგვერდები:**სატიტულო გვერდი, ანუ თავფურცელი (გვერდის შუა ნაწილში იწერება სამაგისტრო ნაშრომის თემის დასახელება); აბსტრაქტი არაუმეტეს ნახევარი გვერდისა ქართულ და ინგლისურ ენაზე, რომელიც მოკლედ ასახავს თემის აქტუალობას, მიზანს და ძირითად სიახლეებს; სარჩევი ანუ შინაარსი; შემოკლებების და აბრივიატურების სია; სქემების, ცხრილების და გრაფიკების სია.
- **ძირითადიტექსტი:** შესავალი; ლიტერატურული მიმოხილვა; კვლევის მასალა და მეთოდები; საკუთარი გამოკვლევის შედეგები; განსჯა; დასკვნები;
- **გამოყენებული ლიტერატურა:** ლიტერატურის ჩამონათვალი განსაზღვრული წესების დაცვით.
- **დანართი:** ასეთის არსებობის შემთხვევაში.

მოცულობა არანაკლებ 50 გვერდისა.

8. სადისერტაციო ნაშრომის (PhD) გაფორმება:

- **შესავალი ნაწილის გვერდები:** სატიტულო გვერდი (გარე და შიდა ყდა); სარჩევი, შინაარსი; დისერტაციის ირგვლივ გამოქვეყნებული პუბლიკაციების ნუსხა, შემოკლებების და აბრევიატურების სია,სქემების, ცხრილების და გრაფიკების სია.
- **ძირითადიტექსტი:** შესავალი; ლიტერატურის მიმოხილვა; კვლევის მასალა და მეთოდები; საკუთარი გამოკვლევის შედეგები; შედეგების განსჯა; დასკვნები; პრაქტიკული რეკომენდაციები
- **გამოყენებულილიტერატურის ნუსხა**
- **დანართი:** ასეთის საჭიროების შემთხვევაში

9. ავტორეფერატის (PhD) გაფორმება:

- ავტორეფერატი შესრულებულიუნდა იყოს ქართულ და ინგლისურ ენაზე
- ავტორეფერატის სტრუქტურა:

  - ნაშრომის ზოგადი დახასიათება

- პრობლემის აქტუალობა
- კვლევის მიზანი
- კვლევის ამოცანები
- მეცნიერული სიახლე
- ნაშრომის თეორიული და პრაქტიკული ღირებულება
- ნაშრომის აპრობაცია
- დისერტაციის სტრუქტურა და მოცულობა
- კვლევის დიზაინი და მეთოდები
- კვლევის შედეგები და განხილვა
- დასკვნები
- პრაქტიკული რეკომენდაციები
- დისერტაციის ირგვლივ გამოქვეყნებული სამეცნიერო შრომების სია

10. სწავლების მთლიანობაში შეფასება

(1) დიპლომირებული მედიკოსის სწავლების მთლიანობაში შეფასება ხდება პროგრამის დამაკმაყოფილებლად დასრულების შემთხვევაში; ფასდება ორი დონით და გაიცემა ორი სახის დიპლომი

ა) წარჩინების - გაიცემა წარჩინების დიპლომი

ბ) სხვა სახის - გაიცემა დიპლომი

(2)კურსდამთავრებულს, რომელიც დტსუ-ში დიპლომირებული მედიკოსის საგანმანათლებლო პროგრამებში სწავლის პერიოდში გამოირჩეოდა სტაბილურად მაღალი აკადემიური მოსწრებითა და სანიმუშო ყოფაქცევით, გადაეცემა წარჩინების დიპლომი.

ა) სტაბილურად მაღალი აკადემიური მოსწრება ითვალისწინებს მთლიანი პროგრამის არანაკლებ 75% სასწავლო მოდულსა და კურსში ჯამურ და დისციპლინარულ შეფასებაში შეფასება “A”-ს; კურსებისა და მოდულების მაქსიმუმ 25%-ში - შეფასება „B”-ის. საკვალიფიკაციო გამოცდების წარჩინებით შეფასება.

ბ) სტუდენტს სწავლის პერიოდში (როგორც მინიმუმ) არ უნდა ჰქონდეს მიღებული დისციპლინარული სასჯელი.

(3) თუ არ ხდება (2)-ით გათვალისწინებულის დაკმაყოფილება სტუდენტი ფასდება (1)-ის ბ) პუნქტის მიხედვით.

11. სწავლის დასრულება

(1) სტუდენტი ასრულებს სწავლას სასწავლო პროგრამით განსაზღვრულ ვადაში.

(2) დოკუმენტები, რომლებიც ადასტურებს სწავლის დასრულებას და აკადემიური ხარისხის მინიჭებას არის უნივერსიტეტის დიპლომი, დიპლომის დანართი და საკვალიფიკაციო გამოცდების სერტიფიკატი.

(3) სწავლის დასრულების დოკუმენტები (დიპლომი, დიპლომის დანართი და სერტიფიკატი საკვალიფიკაციო გამოცდების) გაიცემა უნივერსიტეტის მიერ; დიპლომების გადაცემა ხდება ჩვეულებრივ გამოსაშვებ ცერემონიაზე.

(4) სწავლის დროული დასრულების გარდა სწავლა შეიძლება შეწყდეს ასევე შემდეგ შემთხვევებში(იხ. **დებულება- დამატებითი სემესტრის, დამატებითი კრედიტის, მათი ცნება, გავლის წესის და პირობების შესახებ**):

ა) სტუდენტს უჩერდება ან უწყდება სტატუსი საკუთარი ან უნივერსიტეტის გადაწყვეტილებით;

ბ) სტუდენტი აჭარბებს სწავლების სტანდარტულ ხანგრძლივობას,დამატებით სემესტრში სწავლის უფლების გამოყენებით, მაგრამ არაუმეტეს 10 სემესტრის (5 წლის) ვადით;

გ) სტუდენტი გადადის სწავლისთვის სხვა უნივერსიტეტში.

12. სწავლის შეწყვეტა

ა) ვერ აღწევს სასწავლო პროგრამის შესაბამისი ეტაპით განსაზღვრულ აკადემიურ შედეგს.

ბ) დისციპლინარული სასჯელის შემთხვევაში დისციპლინარული კომიტეტის გადაწყვეტილებით.

13. კვალიფიკაციები

13.1. კვალიფიკაციები, რომლებზეც ხდება კანდიდატთა რეკომენდირება არის დიპლომირებული მედიკოსი [დიპლომირებული მედიკოსის საგანმანათლებლო პროგრამა, ერთსაფეხურიანი; დიპლომირებული მედიკოსის საგანმანათლებლო პროგრამა (ე-პდს), ერთსაფეხურიანი], მედიცინის დოქტორი (ბიოსამედიცინო და ჯანდაცვით მეცნიერებებში სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა, მედიცინის დოქტორის აკადემიური ხარისხი).

13.2. დიპლომირებული მედიკოსის ხარისხის მინიჭებისთვის, სტუდენტი სწავლობს მინიმუმ 12 აკადემიურ სემესტრს, რაც ჩვეულებრივ მთავრდება პროგრამული სწავლების დასრულებით. სტუდენტს, რომელიც დამაკმაყოფილებლად დაასრულებს პროგრამას უღიარდება სწავლა ფაკულტეტის წესებისა და რეგულაციების ან მიმდინარე მოთხოვნების შესაბამისად.

მიმდინარე მოთხოვნები:

დიპლომირებული მედიკოსის პროგრამა

6 წელი, 360 კრედიტი.

I. საბაზისო-სამედიცინოდა კლინიკური მეცნიერებების კურსი.

მასეთმობაპირველიხუთისემესტრი (2,5 წელი). თეორიული (საბაზისო) მედიცინისსასწავლომოცულობაშეადგენს 150 კრედიტს (150 ECTS).

II. კლინიკურიმედიცინისკურსი.

მასეთმობაშემდეგიხუთი (VI – X) სემესტრი. კლინიკურიმედიცინის კურსის სასწავლომოცულობაშეადგენს 150 კრედიტს.

III ზოგადისპეციალიზაციის კურსი.

მასეთმობაერთისასწავლოწელი (VI კურსი) – 60 კრედიტი

საგანმანათლებლო პროგრამა ითვალისწინებს:

კლინიკური უნარ-ჩვევების გამომუშავებას: კლინიკური უნარ-ჩვევების ცალკეული სასწავლო კურსებში 10 კრედიტის ფარგლებში, ასევე ყველა კლინიკური კურსის სასწავლო ფარგლებში არანაკლებ 67 კრედიტისა.

10 კრედიტის ოდენობით ელექტიურ სასწავლო კურსებს

სტუდენტის **სამეცნიერო უნარ-ჩვევებისგამომუშავება** ხორციელდება სამეცნიერო კვლევის საფუძვლების 5 სასწავლო კურსის მეშვეობით, რომლებიც ჯამში **შეადგენს მინიმუმ 10 კრედიტს.**

დმ (ე-პდს) პროგრამისთვის

6 წელი, 376 კრედიტი.

I. საბაზისო სამედიცინო და კლინიკური მეცნიერებების კურსი

მასეთმობაპირველიექვსისემესტრი (3 წელი). საბაზისო სამედიცინო და კლინიკური მეცნიერებების კურსის სასწავლომოცულობაშეადგენს 186 კრედიტს (186 ECTS).

II. კლინიკურიმედიცინისკურსი.

მასეთმობაშემდეგიოთხისემესტრი. კლინიკურიმედიცინის კურსის სასწავლომოცულობაშეადგენს 131 კრედიტს.

III.ზოგადისპეციალიზაციისკურსი.

მასეთმობაერთისასწავლოწელი (VI კურსი) – 59კრედიტი

საგანმანათლებლო პროგრამა ითვალისწინებს:

კლინიკური უნარ-ჩვევების გამომუშავებას: კლინიკური უნარ-ჩვევების ცალკეული სასწავლო კურსებში 10 კრედიტის ფარგლებში, ასევე ყველა კლინიკური კურსის სასწავლო ფარგლებში არანაკლებ 67 კრედიტისა; პროგრამა ითვალისწინებს (საბაზისო სამედიცინო და კლინიკური მეცნიერებების კურსში) მაქსიმუმ 48 (არსებული/მიმდინარე შესაძლებლობა) და მინიმუმ 27 პრობლემაზე ორიენტირებულ სასწავლო კურსს, სადაც ხდება კლინიკურ განსჯასა და კლინიკური გადაწყვეტილების მიღების უნარში სტუდენტთა სპეციალური ტრენინგი, შეფასება უკუკავშირის მიზნით.

10კრედიტის ოდენობით ელექტიურ სასწავლო კურსებს

სტუდენტის **სამეცნიერო უნარ-ჩვევებისგამომუშავება** ხორციელდება სამეცნიერო კვლევის საფუძვლების 5 სასწავლო კურსის მეშვეობით, რომლებიც ჯამში **შეადგეს მინიმუმ 10 კრედიტს.**

სადოქტორო სწავლებისთვის

3-6 წელი,180 კრედიტი

ზოგადი სასწავლო კურსები 15 კრედიტი

დარგობრივი მოდულები 15 კრედიტი

სამეცნიერო კომპონენტი 150 კრედიტი

12. დისციპლინა

სტუდენტი, როგორც აკადემიური საზოგადოების წევრი ვალდებულია დაიცვას უნივერსიტეტის მიერ მიღებული/გაცხადებული ყველა ის ნორმა, რეგულაცია, წესი, რომელიც ასახულია სტუდენტთა ქცევის (სტუდენტთა შინაგანაწესი) და სტუდენტთა ეთიკის ამსახველ დოკუმენტებში; არსებობს საუნივერსიტეტო საქმიანობის პრაქტიკაში და ემსახურება უნივერსიტეტში აკადემიური პროცესის განმტკიცებას, კეთილსინდისიერებასა, ურთიერთპასუხისმგებლიანობას და ურთიერთპატივისცემაზე დამყარებული საქმიანობის განვითრებას. სტუდენტისთვის შეუფერებელი ნებისმიერი შემთხვევის შესახებ ინფორმირებული იქნება დეკანი. იგი უფლებამოსილია ასეთ შემთხვევებზე ადექვეტურ რეაგირებაზე, სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის (სტუდენტის სტატუსთან შეუფერებელი საქციელის მიზეზით) საკითხის დაყენების ჩათვლით.

სტუდენტისგან უნივერსიტეტი მოელის თავაზიან ქცევას უნივერსიტეტსა და მის ფარგლებს გარეთ (საზოგადოებაში); მეცადინეობებზე დროულ გამოცხადებას, სათანადო ჩაცმულობას; ადმინისტრაციული პერსონალისა და პედაგოგების დავალებებისა და/ან რჩევებისადმი

პასუხისმგებლიან დამოკიდებულებას; თანასწორთა მიმართ თანადგომას; პაციენტთა მიმართ გულისხმიერ დამოკიდებულებას.

უნივერსიტეტში ფაკულტეტის პასუხისმგებლობაა აკადემიურ კეთლსინდისიერებაში მაღალი სტანდარტის შენარჩუნება; შესაბამისად სტუდენტის მხრიდან ნებისმიერი მცდელობა თავის ნაშრომად სხვისი ან ნებისმიერი სხვა ნაშრომის წარმოჩენა, რომელიც მისი შესრულებული (მისი მონაწილეობით შესრულებული) არ არის; ანდა გამოცდის შეუსაბამო ფორმით „ჩაბარების“ (ნებართვის გარეშე გარკვეული ლიტერატურის გამოყენება, სხვის მაგივრად გამოცდის ჩაბარება და/ან სხვისი გამოყენება გამოცდის ჩაბარებისთვის, ა. შ. , იხ. სტუდენტთა ქცევის წესებში) მცდელობა ჩაითვლება როგორც განსაკუთრებით სერიოზული დარღვევა; განიხილება როგორც სტუდენტისდისციპლინარული სასჯელისსაფუძველი, ხოლო მის მიერ შესრულებული სამუშაო ანულირდება (იხ. "აკადემიური გადაცდომის გამოვლენისა და სანქციის შეფარდების პროცედურები")

არცერთი სტუდენტის შემთხვევაში აკადემიური დარღვევის გამო არ იქნება მიღებული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტისა და უნივერსიტეტის დატოვების გადაწყვეტილება გამოკვლევის გარეშე და დისციპლინარულ კომიტეტზე მოსმენის შესაძლებლობის გარეშე.

13. წახალისების ფორმები

(I) სახელობითი სტიპენდია;

(II) ყოველთვიური სტიპენდია;

(III) შეღავათები წარჩინებული სტუდენტებისთვის (სწავლის ღირებულების გადახდის შეღავათები):

ა) მომდევნო წლის სწავლის საფასურის 25%-ის ოდენობით;

ბ) მომდევნო წლის სწავლის საფასურის 50%-ის ოდენობით;

გ) მომდევნო წლის სწავლის საფასურის 100%-ის ოდენობით;

(IV) აშშ-ს ექიმის სერთიფიკატის (USMLE) გამოცდების დაფინანსება;

(V) წლის საუკეთესო სტუდენტის სტატუსის მინიჭება;

(VI) სხვადასხვა აქტივობებისათვის მადლობის გამოცხადება პირად საქმეში შეტანით;

(VII) პარტნიორი ორგანიზაციებისა და კლინიკების მიერ სპეციალურად დავით ტვილდიანის უნივერსიტეტის სტუდენტთათვის დაწესებული სტიპენდიები.

14. სტუდენტური სერვისები

სტუდენტურ სერვისებში მოიაზრება უნივერსიტეტის ის სტრუქტურები და სამსახურები, რომელთა ვალდებულებებიაა თავის საქმიანობის ფარგლებში სტუდენტთა საჭიროებებზე „კომუნიკაცია“, „დახმარება“, „პრობლემის აღმოჩენა“ ა.შ; ასევე სპეციალური მიზნით შექმინილი უნივერსიტეტის ერთეულები (მაგ: კარიერული განვითრების ხელშეწყობის სერვისი, „დისლექსიის სერვისი“ ა.შ)

15. ცვლილებების შეტანა რეგულაციებში

- ნებისმიერი შესწორებანი მიიღება ფაკულტეტის რეგულარულ ან სპეციალურ შეხვედრაზე კენჭისყრით სიითი შემადგენლობის ხმათა უმრავლესობით (არანაკლებ ხმების 2/3-ისა)

- შეიძლება არსებობდეს გადაუდებელი აკადემიური პროცედურებისთვის დროებითი რეგულაციების გამოქვეყნების აუცილებლობა. ეს ეხება აკადემიურ აქტივობებს, ინსტრუქტორებისთვის სახელმძღვანელო მითითებების მიწოდებას, აკადემიურ ერთეულებთან მჭიდრო კონსულტაციას.

დროებითი რეგულაციები, შეიძლება საჭირო იყოს:

- ადმინისტრაციული რეგულაციების შესაბამისობაში მოყვანისთვის სტუდენტის, ფაკულტეტის, შტატის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის ხელშეწყობის საკითხებში
- სტანდარტებისა და კეთლსინდისიერების შენარჩუნებისთვის კურიკულუმით გათვალისწინებულ და ხარისხის-მიმნიჭებელ პროცესებში
- სტუდენტთა საჭიროებებზე საპასუხოდ ბოლო სემესტრის განმავლობაში, ა. შ.

16. დასკვნითი დებულებები

დოკუმენტი დამტკიცებულია რექტორის საბჭოს გადაწყვეტილებისა და რექტორის ბრძანების საფუძველზე;

ძალაში შედის ხელმოწერისთანავე.

უკანასკნელი განახლების თარიღი:22.11.2021 წელი